

სამოტივაციო წერილი

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა გადაწყვეტიტე იმიტომ, რომ:

1. 1956 წ. ვცხოვრობდი თბილისში, „ვორონცოვის“ მოედანზე. ერთ დღეს, დილიდან, ჩემი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხალხი შეიკრიბა. ისინი ხმადაბლა საუბრობდნენ, შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად ხიდზე გადადიოდნენ. იმ დღეს სახლში გამოვაცხადე, რომ პიონერთა სასახლეში მივდიოდი, თუმცა მარშრუტი შევცვალე, რადგან ქუჩაში გამოსვლისას დამაინტერესა ახალგაზრდების ერთი ჯგუფის საუბარმა საქართველოს თავისუფლების შესახებ. მერე ამ ჯგუფს შევეუბრეთ და მეც ბაღში შევედი. სწორედ იმ დღეს, 1956 წლის 5 მარტს, ჩემ თვალწინ დაიწყო სტალინის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი გრანდიოზული მიტინგი. ჩემთვის მოულოდნელად, 10 წლის ასაკში, ამ მიტინგის ორგანიზატორების (რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ) თანაშემწე გახდი. მევალეობდა იქ მყოფთაგან წერილების შეკრება და მიტინგის წამყვანისთვის გადაცემა, გვირგვინების დალაგება და სხვა. იმდენად დავინტერესდი, რომ სკოლას ვაცდენდი და დილიდან დაღამებამდე ბაღში ვიყავი. 9 მარტს, დაახლოებით 01 საათზე, მიტინგის ხელმძღვანელთა ბრძანებით, დავტოვე ბაღის ტერიტორია და შინ დავბრუნდი. დაახლოებით 02 საათზე, ბაღს ალყა შემოარტყეს მე-8 პოლკის ჯარისკაცებმა. ავტომატის სროლა ატყდა, რის შედეგადაც დაიღუპა და დაიჭრა ასობით ადამიანი. სროლის დაწყებისას (ამ დროს სახლში მეძინა) გამეღვიძა, რადგან შემოვარდნილმა „ბრმა“ ტყვიებმა დაღეწეს ფანჯრის შუშები. ჩემი თხოვნით, მამამ ბინის კარი გააღო და ბაღიდან გამოქცეული მიტინგის მონაწილე (დაახლოებით 30-40) ახალგაზრდა (რომლებიც ქუჩაში შევლას ითხოვდნენ) გათენებამდე შეიფარა.

დედაჩემმა შეიტყო, რომ სკოლაში არ დავდიოდი და ამის შესახებ მამას მოახსენა: „სწავლა არ უნდა, ქუჩაში დადის, ხელობა ასწავლეო“. მამამ უპასუხა: „წიგნი იკითხოხო“. ორი დღის შემდეგ მამამ ხელი ჩამკიდა, ჩვენი საცხოვრებელი შენობის I სადარბაზოში, მე-4 სართულზე ამიყვანა და კარებზე ზარი დარეკა. კარი გააღო მაღალმა, წარმოსადეგმა მამაკაცმა, რომელმაც მამას ასე მიმართა: „მობრძანდით, მიხეილ ალექსანდროვიჩ“. მისალმების შემდეგ, მამამ უთხრა: „მოგიყვანეთ, ბატონო აკაკი“ და ჩემზე მიუთითა. ბატონმა აკაკიმ თავზე ხელი გადამისვა, შემომატარა თავისი 4-ოთახიანი ბინა და ახსნა-განმარტებით, კედელზე ჩამოკიდებული მნიშვნელოვანი სურათები და დოკუმენტები (ფაქტობრივად, სამუზეუმო ექსპოზიცია) დამათვალეიერებინა. შემდეგ მითხრა: „სკოლაში იარე, ისწავლე და სახელოვანი კაცი გამოდიო“. ეს ბატონი აკაკი ხორავა გახლდათ, კინოფილმში გიორგი სააკაძის როლის შემსრულებელი, ჭეშმარიტად სახალხო არტისტი და შესანიშნავი პიროვნება. ჩემთვის ბატონი აკაკი გახდა სამაგალითო ადამიანი. იმ დღიდან გამიტაცა ხელოვნებამ (განსაკუთრებით თეატრი და კინო) და მუზეუმებმა. მოგვიანებით ბევრი ქვეყნის საუკეთესო მუზეუმების საქმიანობას გავეცანი (მოსკოვის, ლენინგრადის, პარიზის, ბერლინის, დრეზდენის, ათენის, დამასკოს, ბეირუთის, ქაიროს და სხვ.).

2. მე-7 ან მე-8 კლასში ვიქნებოდი, როცა პიონერთა სასახლეში გაიხსნა კაბინეტი, სახელად „პიონერ-ფილმი“, ბ-ნ გულბათ აბელიშვილის ხელმძღვანელობით. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ვარ ერთ-ერთი პირველი „პიონერ-ფილმელი“. „პიონერ-ფილმში“ მიღებულმა გამოცდილებამ, ინტერესი გამიჩინა იმისა, რომ მიმელო შესაბამისი უმაღლესი განათლება და კინოსტუდიაში ან ტელევიზიაში დამეწყო საქმიანობა.

3. 1959 წელს ჩემი საცხოვრებელი სახლის ახლოს, „ვორონცოვის“ მოედანზე, მოულოდნელად ერთმა მამაკაცმა და ქალბატონმა შემაჩერა. ვინაობა გამომკითხეს და პატარა ბარათზე მისამართი, სახელი და გვარი დამიწერეს. მითხრეს: „მშობლებს გადაეცი და კინოსტუდიაში მოგიყვანონ“. ესენი აღმოჩნდნენ ცნობილი რეჟისორი ბ-ნი სერგო ჭელიძე და მისი მეუღლე. კინოსტუდიაში მისვლისას

გაირკვა, რომ იღებდნენ ფილმს სახელწოდებით „პაპა გიგია“ და ამისთვის სკოლის მოსწავლეთა შესარჩევი კონკურსი ტარდებოდა. კონკურსში გამარჯვებულთა სიაში მოვხვდი. ერთ-ერთ როლზე დამამტკიცეს და კინოექსპედიციაშიც წამიყვანეს. შემდეგ ანალოგიურ კონკურსში ორჯერ მიმიწვიეს და დამამტკიცეს მთავარ როლზე (მხატვრული ფილმი „კეთილი ადამიანები“ და „ქალაქი იღვიძებს ადრე“).

საქართველოში რეგულარული სატელევიზიო გადაცემები დაიწყო 1956 წლის 30-31 დეკემბერს. გადაცემები კვირაში 4-ჯერ იყო. კინოსტუდიაში მიღებული ხელფასის საფუძველზე, გავაკეთე ფულადი დანაზოგი. შეგროვებული ფულით შევიძინე ტელევიზორი „რეკორდი“. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა (1961 წლიდან) დაიწყო ყოველდღიური გადაცემები.

4. სკოლის დამთავრების შემდეგ გავიგე, რომ ტელევიზიაში იქმნებოდა ახალი სასწავლებელი – **სატელევიზიო სტუდია**. რუსთაველის გამზირზე, კავშირგაბმულობის შენობის ერთ-ერთ ოთახში, შევიტანე საბუთები და შემდეგ ჩავაბარე გამოცდები (ჯერ გასაუბრება, შემდეგ 2 ტური). ხალხმრავალ კონკურსში გამარჯვებულთა სიაში მოვხვდი და ჩავირიცხე სატელევიზიო სტუდიაში (ხელმძღვანელები სერგო ევლახიშვილი და შოთა ქარუხნიშვილი). მეცადინეობა 1-ლი სკოლის საკლასო ოთახებში ტარდებოდა. თეატრალურ დადგმებს 1-ლი სკოლის დარბაზში ვაწყობდით, ხოლო სატელევიზიო გადაცემებს ვამზადებდით და ეთერში გავდიოდით ფუნქციონორზე, სატელევიზიო ანძის ძირში არსებული პატარა სტუდიიდან. ისეთი დიდი ენთუზიაზმით ვიყავი განწყობილი, რომ როცა ტრამვაი ან საბაგირო არ მუშაობდა, ხშირად ფუნქციონორზე ფეხით ავდიოდი.

5. 1971–1975 წწ-ში ვთანამშრომლობდი რადიოსა და ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციებთან (განსაკუთრებით ბრწყინვალე ჟურნალისტებთან: მარიკა ჩხარტიშვილთან, მედეა გეგეშიძესთან და თემო ნაცვლიშვილთან).

6. 1975–1980-იან წლებში, ვმუშაობდი ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის „მოამბის“ რედაქციაში კორესპონდენტად. დავალებებს ვღებულობდი რედაქტორებისგან (ბატონები: რეზო ურუშაძე, ზაურ გომართელი და თამაზ ხომერიკი). ჩემს მიერ მომზადებულ სატელევიზიო სიუჟეტებს იბარებდა და ეთერში გაშვებას უზრუნველყოფდა ბ-ნი ზენონ კაცია. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ტელევიზიაში ჩემს გვერდით მუშაობდნენ პირველი „პიონერ-ფილმელები“: ქ-ნი ნანა ღონღაძე და ბ-ნი გრიგოლ ჩიგოგიძე.

7. 1974–1975 წლებში ვირწმუნე, რომ კინოს ხვალინდელი დღე არის ტელევიზია. ამიტომ გადავწყვიტე მიმელო უმაღლესი სატელევიზიო განათლება ლენინგრადში. მაშინ მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებს მხოლოდ ლიმიტით იღებდნენ. სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ ლენინგრადში სასწავლებლად ლიმიტი გამომიყო და ამ დოკუმენტზე ხელი მომიწერა მაშინდელმა საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა აკაკი დვალიშვილმა, ხოლო სარეკომენდაციო წერილი გამატანა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ქალბატონმა ივლიტა მესხიშვილმა.

8. 1989 წლის 7–8 აპრილს, დღის მეორე ნახევარში, ჩემი ინიციატივითა და ორგანიზებით, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საქმიანობის ხალხის სამსახურში ჩაყენებისა და თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლებისა და საშუალების მოპოვების მიზნით, **თბილისში, სახელმწიფო ტელევიზიის შენობასთან, მოეწყო საპროტესტო ხალხმრავალი აქცია და მიტინგი**. მაშინ პირველად გამოჩნდნენ ჩაფხუტიანი და ხელკეტებიანი სპეცრაზმელები, რომლებიც შეგროვილნი იყვნენ ტელევიზიის შენობისა და მაშინდელი რაიკომის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაახლოებით 2 საათის შემდეგ დავიშალეთ და გადავინაცვლეთ რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, სადაც ხალხმრავალი მიტინგი ტარდებოდა (ეს ხდებოდა 9 აპრილის ტრაგედიის წინა დღეს).

9. 1992 წლის 24 ივნისს, დილით, როცა სახელმწიფო ტელევიზიის შენობაში ტერორისტული აქტი განხორციელდა, მაშინვე იქ მივედი და დაპირისპირებულ მხარეთა შორის ჩავდექი, როგორც

მედიატორი. მოვითხოვდი სროლის შეწყვეტას (დილის 10 საათიდან 11 საათამდე, მხოლოდ გარედან ისროდნენ). როცა სროლა შეწყდა, ერთ-ერთი პირველი შევედი ტელევიზიის შენობაში, შეძლებისდაგვარად წესრიგში მოვიყვანე სააპარატო ოთახები და გენდირექტორის კაბინეტი (სადაც ერთი დღე დაღამებამდე ვიმყოფებოდი).

10. სახელმწიფო ტელევიზია „საზოგადოებრივ მაუწყებლად“ გადაკეთდა. ეს ფაქტი ჩემთვის მისასალმებელია, მაგრამ რეალურად მივიღეთ „მოდერნიზებული სახელმწიფო ტელევიზია“. ამან ხალხის რისხვა გამოიწვია. 2009 წელს გაიმართა საპროტესტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. კერძოდ, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობასთან მოეწყო საპროტესტო აქციები და მიტინგები. მე ვიყავი ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე იმ აქციისა, რომელსაც „სირცხვილის დერეფანი“ უწოდეს. მაშინ პროტესტის ნიშნად ტელევიზიის შენობის წინ, კიბეებთან დადგმულ ერთ-ერთ კარავში, 2 დღე და ღამე ვიშობილეთ.

ბიოლოქმა: 1952–55 წლებში, როცა ჩემი საცხოვრებელი სახლის ეზოში ვიმყოფებოდი, რამდენჯერმე მოხუცი მამაკაცი გამომელაპარაკა. ხშირად კინოზე მესაუბრებოდა (ერთხელ მითხრა - კინოს მომავალი ტელევიზია იქნებაო. ჩემს გაცემას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მოგვიანებით გავიგე, რომ ის, თურმე, ალექსანდრე წუწუნავა იყო - ქართული ეროვნული მხატვრული კინემატოგრაფის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1957-58 წლებში, მოსახლეობის მცირე ნაწილს ჰქონდა ტელევიზორი. ტელევიზორის მფლობელებს თავისი „ჯადოსნური ყუთი“ მეზობლებისთვის აივანზე ან შუა ეზოში გამოჰქონდათ და განცვიფრებული ადამიანები 1 ან 2 საათის განმავლობაში, ინტერესით შესცქეროდნენ ეკრანს. ჩემს საცხოვრებელ შენობაში პირველი ტელევიზორი წუწუნავების ოჯახში გაჩნდა. საღამოს, დაახლოებით 8 საათზე, მივადგებოდი წუწუნავების ბინას, კარზე ზარს დავრეკავდი და თავაზიანი მასპინძლები კვირაში სამჯერ მამლევდნენ საშუალებას საოცრების ხილვისა. მეამაყება, რომ ხელოვნების სფეროში ჩემი სულიერი ნათლიები იყვნენ ბატონები: აკაკი ხორავა და ალექსანდრე წუწუნავა.

მიმაჩნია, რომ ამჟამად „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ უნდა მოხდეს გარდაქმნა, ჩამოყალიბდეს როგორც ეროვნული ტელევიზია და გახდეს საზოგადოებრიობის ყველა ფენის მსახური.

ჩემი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ვიღვაწებ იმისათვის, რომ ჩემი გენდირექტორობის დროს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გახდეს წარმატებული ტელევიზია. ეს მოხერხდება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი თანდათან განთავისუფლდება დილექტანტებისაგან, თუ მოვლენ სატელევიზიო განათლების მქონე პროფესიონალები და გერგილიანი მენეჯერები.

თამაზ ბიბილური

P.S. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საქმიანობის ჩემეულ ხედვას საზოგადოებას გავაცნობ მეორე ტურში გადასვლის შემთხვევაში.